



# თქვენ ეჭვმიტანილი ხართ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში

თქვენ დაგაკავეს და მოგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, ან დაგიბარეს პოლიციაში დაკითხვაზე.

## Georgisch

თქვენ ხართ 12-დან 18 წლამდე და ჩაიდინეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედება, როგორცაა ვანდალიზმი, ქურდობა ან თავდასხმა. პოლიციამ (ან სხვა საგამოძიებო სამსახურმა) შესაძლოა დაგაკავათ, მოგიყვანათ პოლიციის განყოფილებაში და იძიებს ამ საქმეს, ან შესაძლოა გთხოვს მოსულიყავით პოლიციის განყოფილებაში დაკითხვაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიციას სურს თქვენთან საუბარი და შეკითხვების დასმა. მნიშვნელოვანია იცოდეთ, რა უფლებები გაქვთ, ამიტომ ყურადღებით გაეცანიეთ ამ ტექსტს. შემდეგ, თუ რაიმე კითხვები გაგიჩნდებათ, მიმართეთ თქვენს ადვოკატს ან პოლიციის თანამშრომელს.

თუ არ დაგაკავეს, მაგრამ პოლიციამ დაკითხვაზე დაგიბარათ, გადადით ქვემოთ მოცემულ ნაწილზე „როდის დამჭირდება ადვოკატი?“.

### თქვენ დაგაკავეს და მოგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში

#### რა უფლებები გაქვთ?

- პოლიცია ვალდებულია გაცნობოთ, რომელი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ხართ ეჭვმიტანილი;
- პოლიცია დაგინიშნავთ ადვოკატს;
- თუ თქვენი ადვოკატი გყავთ, შეატყობინეთ პოლიციას ამის შესახებ.
- პოლიცია თქვენს მონაცემებს (სახელი და გვარი, მისამართი, დაბადების თარიღი და ა.შ.) გადასცემს

ჰოლანდიის იურიდიული დახმარების საბჭოს (Raad voor Rechtsbijstand). ის თქვენს ადვოკატს თქვენი სახელით დაუკავშირდება;

- თქვენი ადვოკატი მხოლოდ თქვენზე იმუშავებს და არა პოლიციაზე.

### ინფორმაცია მშობლებისთვის, მეურვისთვის ან მზრუნველისთვის

თქვენი ბავშვი ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ამ საინფორმაციო ფურცელზე აღნიშნულია, რა უფლებები აქვს თქვენს შვილს პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების დროს. პოლიცია შეგატყობინებთ, რომ თქვენი შვილი დააკავეს და ის პოლიციის განყოფილებაში იმყოფება, ან რომ თქვენი შვილი პოლიციაში დაკითხვაზე დაიბარეს. პოლიციამ ასევე უნდა შეგატყობინოთ შემდგომი გამოძიების მსვლელობისას მოპოვებული ინფორმაციის შესახებ. დაუკავშირდით პოლიციას, რომ განიხილოთ თქვენი შვილთან დარეკვისა და ვიზიტის შესაძლებლობა.

### დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის ცენტრის ვებგვერდს ([www.juridischloket.nl](http://www.juridischloket.nl)), ხელმისაწვდომია მხოლოდ ჰოლანდიურ ენაზე) ან დაუკავშირდით მათ ნომერზე 0900 8020 (წუთის საფასურია €0.10). ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09.00 - 17.00 საათებში.

- თქვენ შეხვედებით **პროკურორის თანამშემსახურს** - ადამიანს, რომელსაც აქვს ხელმძღვანელის ფუნქცია პოლიციაში. ეს შეხვედრა შეიძლება ტელეფონით ან ვიდეოკავშირის საშუალებით შედგეს; ამას ვეძახით **სახელმწიფო პროკურორის თანამშემსახურის** წინაშე გამოცხადებას. სახელმწიფო პროკურორის თანამშემსახურე შეგატყობინებთ თქვენი უფლებების შესახებ და ასევე დაგისვამთ შეკითხვებს. არ ხართ ვალდებული უპასუხოთ ამ შეკითხვებს, თუმცა თუ გაქვთ სურვილი, შეგიძლიათ უპასუხოთ. უფლება გაქვთ არაფერი არ თქვათ, რასაც **დემილის უფლებას** ვუწოდებთ. სახელმწიფო პროკურორის თანამშემსახურე ასევე გეტყვით, რა შეიძლება მოხდეს და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა თქვენი დაკავება პოლიციაში გარკვეული დროის მანძილზე.
- ექიმს, ან პირს, რომელიც ექიმთან მუშაობს, შეუძლია შეამოწმოს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გადაწყვიტოს, შეგიძლიათ თუ არა გაიაროთ დაკითხვა ან დამატებითი გამოძიება პოლიციაში. საჭიროების შემთხვევაში, პოლიცია, თქვენი ადვოკატი ან მშობლები (ან თქვენი მეურვეები და მზრუნველები) და თქვენ თვითონ შეგიძლიათ სთხოვოთ ამ ექიმს, რომ ჩაგიტაროთ გამოკვლევა. ექიმმა შეიძლება დაადგინოს, რომ პოლიციის მიერ დაკითხვა ან დამატებითი გამოძიება უნდა გადაიდოს გარკვეული დროით. აღნიშნული სამედიცინო გამოკვლევა უფასოა;
- თუ ჰოლანდიურს კარგად ან საერთოდ არ ფლობთ, უფლება გაქვთ ისარგებლოთ მთარგმნელის (ან თარჯიმნის) მომსახურებით. თარჯიმნის მომსახურება უფასოა. უფლება გაქვთ გაეცნოთ **საქმის მასალებს** (მასალებს, რომლებიც პოლიციამ თქვენს საქმესთან დაკავშირებით მოამზადა). თქვენს ადვოკატს უფლება აქვს, თქვენი სახელით სახელმწიფო პროკურორისგან მოითხოვოს აღნიშნული საქმის მასალები;
- თუ ჰოლანდიურს კარგად ან საერთოდ არ ფლობთ, უფლება გაქვთ წაიკითხოთ თქვენი საქმის მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი თქვენს ენაზე იმისათვის, რომ კარგად გაიგოთ მისი შინაარსი.

**კიდევ რა შეიძლება მოხდეს?**

- პოლიციამ უნდა აცნობოს თქვენს მშობლებს (ან თქვენს მეურვეს და მზრუნველს), რომ თქვენ პოლიციის განყოფილებაში იმყოფებით და რომ იქ გარკვეული დროის განმავლობაში დაგაკავებენ. თუ არ გყავთ მშობლები (ან მეურვეები და მზრუნველები) ან თუ პოლიცია მათ ვერ უკავშირდება, გკითხავენ, რომელ ზრდასრულს შეუძლიათ დაუკავშირდნენ. თუ არ იცნობთ ზრდასრულს, ვისაც შეიძლება დაურეკონ, პოლიცია დაუკავშირდება ბავშვთა მოვლისა და დაცვის საბჭოს (Raad voor de Kinderbescherming);
- ბავშვთა მოვლისა და დაცვის საბჭო არის ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს რა სასჯელი და/ან დახმარება

შეიძლება გჭირდებოდეთ. განიხილავს თქვენს სიტუაციას, თქვენს მიერ ჩადენილ დანაშაულს და დანაშაულის სიმძიმეს;

- თქვენს მშობლებს (მეურვეს და მზრუნველს) უფლება აქვთ დაგირეკონ ან გეწვიონ პოლიციის განყოფილებაში.
- თუ ნიდერლანდებში არ ცხოვრობთ, შეგიძლიათ სთხოვოთ პოლიციას დაუკავშირდეს თქვენი ქვეყნის საელჩოს.

**პოლიციის განყოფილებაში დაკავება**

- თუ ექვმიტანილი ხართ წვრილმან დანაშაულში, როგორცაა შეურაცხყოფა, პოლიციას შეუძლია დაგაკავოთ პოლიციის განყოფილებაში მაქსიმუმ 6 საათის განმავლობაში, ღამის დროის გამოკლებით (00.00 საათიდან 09.00 საათამდე). ასე რომ, პოლიციამ უნდა გაგათავისუფლოთ მაქსიმუმ 6 საათში;
- თუ ექვმიტანილი ხართ სერიოზულ დანაშაულში, როგორცაა ვანდალიზმი, ქურდობა ან თავდასხმა, პოლიციას შეუძლია დაგაკავოთ პოლიციის განყოფილებაში მაქსიმუმ 9 საათის განმავლობაში, ღამის დროის გამოკლებით (00.00 საათიდან 09.00 საათამდე). 9 საათის შემდეგ პოლიციამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, თქვენი დაკავების გახანგრძლივების შესახებ, მაქსიმუმ 3 დღით. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიციას თქვენი დაკავება დამატებით მაქსიმუმ 3 დღის განმავლობაში შეუძლია. ასე რომ, უარეს შემთხვევაში, პოლიციის განყოფილებაში შეიძლება მაქსიმუმ 6 დღის განმავლობაში დარჩეთ. ამას **წინასწარ პატიმრობას** ვუწოდებთ;
- თუ საღამოს დაგაკავებს, პოლიციამ შეიძლება გადაწყვიტოს თქვენი დაკითხვის გადადება. ამ შემთხვევაში, დაკითხვის ჩატარებისთვის თქვენ და თქვენს მშობლებს (ან მეურვესა და მზრუნველს) პოლიციის განყოფილებაში დაგიბარებენ მეორე დღეს,; თქვენ სახლში წასვლის უფლებას მოგცემენ, მაგრამ მეორე დღეს პოლიციის განყოფილებაში დაბრუნება მოგიწევთ.
- თუ პოლიცია თქვენს დაკავებას გადაწყვეტს, ზოგჯერ შეიძლება მოგცენ უფლება, ღამე სხვაგან გაათნოთ (მაგალითად, სახლში). თუმცა, დღის განმავლობაში უნდა დარჩეთ პოლიციის განყოფილებაში. პოლიცია და სახელმწიფო პროკურორი გადაწყვეტენ, ეს როგორ მოხდება;
- თუ სახელმწიფო პროკურორი მიიჩნევს, რომ თქვენი პატიმრობის ვადა უნდა გახანგრძლივდეს, სასამართლო გადაწყვეტს ამის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, თქვენ გადაგიყვანენ არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრში და პოლიციის განყოფილებაში აღარ დარჩებით;
- თუ არ ეთანხმებით დაკავებას ან სასამართლოს გადაწყვეტილებას წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების შესახებ, რჩევისთვის შეგიძლიათ ადვოკატს მიმართოთ;
- თუ წინასწარი პატიმრობა აღარაა საჭირო, პოლიციამ უნდა გაგიტავისუფლოთ.

### როდის დაგჭირდებათ ადვოკატი?

- თუ პოლიცია თქვენს დაკითხვას აპირებს, ის თქვენთვის ადვოკატის დანიშვნაზე იბრუნებს. ადვოკატი იქნება თქვენი წარმომადგენელი და იმოქმედებს მხოლოდ თქვენთან შეთანხმებით. თქვენი ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტის კონფიდენციალობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერს, რაზეც თქვენს ადვოკატს უამბობთ, თქვენს შორის დარჩება. თქვენი ნებართვის გარეშე ადვოკატი არავის გაანდობს იმას, რაზეც თქვენ უამბობთ;
- დაკავების შემთხვევაში, თუ გყავთ ადვოკატი და გსურთ, რომ ის პოლიციის განყოფილებაში მოვიდეს, უთხარით პოლიციას ამის შესახებ. პოლიცია ადვოკატს თქვენი სახელით დაუკავშირდება;
- თუ პოლიციაში დაკითხვაზე დაგიბარეს, თქვენ დაგინიშნავენ ადვოკატს. თქვენს მისამართზე გაგზავნილ პოლიციის მოწვევაში წერია, როგორ უნდა მოიქცეთ, თუ უკვე გყავთ ადვოკატი, რომლის მომსახურებაც გსურთ სარგებლობა;
- როგორც წესი, ადვოკატის მომსახურება უფასოა. პოლიცია განვიმარტავთ გათვალისწინებული გამონაკლისების შესახებ.

### დაკითხვა პოლიციაში: საუბარი პოლიციასთან

- პოლიციის თანამშრომლები გაგესაუბრებიან და დაგისვამენ შეკითხვებს.

## პოლიციის განყოფილებაში დაკითხვამდე

- დაკავების შემთხვევაში, ადვოკატი გენვევთ და რაც შეიძლება მალე გაგინვეთ კონსულტაციას. პოლიციის თანამშრომლებს ან თანამშრომლებს თქვენი დაკითხვა შეუძლიათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადვოკატს გაესაუბრებით. პოლიციის განყოფილებაში ადვოკატის მისვლას გარკვეული დრო დასჭირდება - დაახლოებით, ორი საათი;
- თუ დაგაკავებს, პოლიციაში დაკითხვამდე გაესაუბრებით თქვენს ადვოკატს. ის გამოგკითხავთ, რა შეგემთხვათ და გეტყვით, რას უნდა ელოდოთ. ამას დაახლოებით ნახევარი საათი დასჭირდება, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დროის დამატება;
- პოლიცია არ მოუსმენს თქვენს საუბარს ადვოკატთან.
- საჭიროების შემთხვევაში, დაგინიშნავენ თარჯიმანს, რომელიც დაგეხმარებათ ადვოკატთან შეხვედრის დროს. თუ თარჯიმანი გჭირდებათ, მას არ ექნება უფლება, მოუყვას პოლიციას ამ შეხვედრის შესახებ;
- თუ პოლიციაში დაკითხვაზე დაგიბარეს, პოლიციის განყოფილებაში მოსვლამდე უნდა გაესაუბროთ თქვენს ადვოკატს. ადვოკატს ეცოდინება, როდის ჩატარდება დაკითხვა პოლიციაში და უზრუნველყოფს, რომ თქვენ დროულად მიხვიდეთ პოლიციის განყოფილებაში;

- ადვოკატი გეტყვით, რას მოიცავს პოლიციაში დაკითხვა და დაგირიგებთ, როგორ უნდა მოიქცეთ და რა უნდა თქვათ. ადვოკატს ასევე შეუძლია დაუკავშირდეს თქვენი ოჯახის წევრებს, უფროსს ან სამსახურს და აცნობოს მათ, რომ თქვენ პოლიციის განყოფილებაში იმყოფებით. ამას მხოლოდ თქვენი სურვილის შემთხვევაში გააკეთებს.

## პოლიციაში დაკითხვის დროს

- დაკითხვაზე, პოლიციელ(ებ)ი დაგისვამენ კითხვებს;
- არ ხართ ვალდებული უპასუხოთ ამ შეკითხვებს (თუმცა თუ გაქვთ სურვილი, შეგიძლიათ უპასუხოთ). თქვენ გაქვთ დუმის უფლება;
- თუ არ გესმით, რას ამბობს პოლიციის თანამშრომელი, აუცილებლად უთხარით მას ამის შესახებ. ამ შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომელმა უნდა აგისხნათ ეს სხვა სიტყვებით;
- საჭიროების შემთხვევაში, დაგინიშნავენ თარჯიმანს, რომელიც დაგეხმარებათ პოლიციაში დაკითხვის დროს.

### ადვოკატი დაკითხვის დროს

დაკითხვის ოთახში თქვენ გვერდით იჯდება ადვოკატი. მას აქვს უფლება:

- დარჩეს ოთახში დაკითხვის დროს;
- გააკეთოს კომენტარები დაკითხვის დასაწყისში და დაკითხვის ბოლოს;
- დაუსვას პოლიციის თანამშრომელს (თანამშრომლებს) შეკითხვები;
- გკითხოთ, გესმით თუ არა ნათქვამი;
- დარწმუნდეს, რომ თქვენ არ გადალებენ რამის გაკეთებას;
- დარწმუნდეს, რომ თქვენ არ გეშინიათ პოლიციის თანამშრომლის (თანამშრომლების);
- მოითხოვოს დაკითხვის დროებით შეჩერება. ამის შემდეგ ადვოკატს შეუძლია პირადად გაგესაუბროთ. თქვენც გაქვთ უფლება, მოითხოვოთ ადვოკატთან პირადი შეხვედრა. თუ ამას ხშირად მოითხოვთ, პოლიციის თანამშრომელმა (თანამშრომლებმა) შეიძლება უარი გითხრათ.

### პოლიციაში დაკითხვის კამერაზე გადაღება ან ჩანერა

- ზოგჯერ პოლიცია ვალდებულია, ჩაიწეროს დაკითხვის პროცესი კამერაზე და/ან მიკროფონზე. ეს ეხება შემთხვევებს, როცა სერიოზული სამართალდარღვევის შედეგად ვიღაცა ძლიერად დაზარალდა. პოლიციაში დაკითხვის ჩანერისას მოქმედებს გარკვეული წესები. თუ პოლიცია ახორციელებს ვიდეოს ან ხმის ჩანერას, ამის შესახებ უნდა გაგაფრთხილონ დაკითხვის დასაწყისში.

### პოლიციაში დაკითხვის დროს შესაბამისი ზრდასრული პირის დასწრება

- პოლიციაში დაკითხვის შემთხვევაში, უფლება გაქვთ მოითხოვოთ, რომ დაკითხვის ოთახში თქვენთან ერთად

იყოს პირი, რომელსაც ენდობით (**შესაბამისი ზრდასრული პირი**). ეს შეიძლება იყოს თქვენი მამა ან დედა ან სხვა ზრდასრული. თუ გსურთ, რომ დაკითხვას ესწრებოდეს შესაბამისი ზრდასრული პირი, უთხარით თქვენს ადვოკატს ან პოლიციას ამის შესახებ. შესაბამისი ზრდასრული პირის დასწრება სავალდებულო არ არის;

- შესაბამისი ზრდასრული პირს აქვს მხოლოდ მოსმენის უფლება. ანუ, უფლება იყოს თქვენს გვერდით, მაგრამ არ აქვს ლაპარაკის უფლება. შესაბამისი ზრდასრული პირი უნდა იყოს 18 ან მეტი წლის და არ უნდა იყოს იმ დანაშაულის თანამონაწილე, რომლის ჩადენაში ეჭვმიტანილი ხართ;
- პოლიციამ ზოგჯერ შეიძლება უარი გითხრათ დაკითხვაზე შესაბამისი ზრდასრული პირის დასწრებაზე. თუმცა, სახელმწიფო პროკურორის ნებართვის გარეშე ამის გაკეთების უფლება პოლიციას არ აქვს.

**ოქმი**

- პოლიციაში თქვენი დაკითხვის ოქმი მომზადდება. ამას **ოფიციალურ ოქმს** ვეძახით. ეს მნიშვნელოვანი ოქმი წარმოადგენს პოლიციაში დაკითხვის დროს თქვენი მონაყოლის ჩანაწერს. ეს არის თქვენი მონაყოლი მომხდარი გარემოებების შესახებ;
- სახელმწიფო პროკურორი და ზოგჯერ, სასამართლოც წაიკითხავს თქვენს მონაყოლს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ყურადღებით წაიკითხოთ ყველაფერი, რაც ოქმში წერია. თუ კარგად ვერ კითხულობთ, სთხოვეთ პოლიციის თანამშრომელს (თანამშრომლებს) წაიკითხოს ეს თქვენთვის;
- თუ ეთანხმებით იმას, რაც ოქმში წერია, პოლიციის თანამშრომელი (თანამშრომლები) გთხოვენ, დანეროთ თქვენი სახელი და ოქმს ქვემოთ ხელი მოაწეროთ. თუ არ ეთანხმებით ოქმს, პოლიციის თანამშრომელი (თანამშრომლები) გთხოვს, რომ შეიტანოთ მასში ცვლილებები. ადვოკატს ასევე შეუძლია დაგეხმაროთ ოქმის სიზუსტის შემოწმებაში.

**პოლიციის დაკითხვის შემდეგ**

- როცა დაკითხვა დასრულდება და აღარ იქნება საჭირო პოლიციის განყოფილებაში თქვენი დაკავება, სახლში წასვლის უფლებას მოგცემენ. ზოგჯერ, შეიძლება მოგიწიოთ გარკვეული დროით ლოდინი, რადგან პოლიციას შეიძლება დასჭირდეს თქვენთვის რამდენიმე დამატებითი შეკითხვის დასმა. თუ დარჩენა გინევთ, პოლიცია შეგატყობინებთ, რა უნდა მოხდეს. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს დამატებითი დაკითხვა პოლიციაში;
- თუ პატიმრობაში დარჩენა გინევთ, თქვენ გენვევათ ბავშვთა მოვლისა და დაცვის საბჭოს თანამშრომელი. ის შეამოწმებს, როგორ გრძნობთ თავს და გჭირდებათ თუ არა რაიმე დახმარება. საბჭო გამოიძიებს თქვენს მდგომარეობას და სახელმწიფო პროკურორს ან სასამართლოს ურჩევს, რა სახის სასჯელი (ან დახმარება) იქნება თქვენთვის ყველაზე შესაფერისი;
- სახელმწიფო პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას თქვენი გათავისუფლების ან პატიმრობაში უფრო ხანგრძლივი დროით დატოვების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ პატიმრობაში კიდევ 3 დღით უნდა დარჩეთ, დამატებით 3 დღით გახანგრძლივების შესაძლებლობით (წინასწარი პატიმრობა), აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას საოჯახო სასამართლო მიიღებს. ეს არ მოიცავს პოლიციის განყოფილებაში თქვენი პატიმრობის დროს;
- პოლიცია სახელმწიფო პროკურორის გადაწყვეტილების შესახებ რაც შეიძლება მალე შეგატყობინებთ. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არ იყოს მიღებული დაუყოვნებლივ და შეტყობინებას ამის შესახებ შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს;
- თუ თქვენ გაგათავისუფლეს ან სახლში წასვლის უფლება მოგცეს, პოლიცია თქვენს მშობლებს (მეურვეს ან მზრუნველს) დაუკავშირდება და თქვენს წაყვანას სთხოვს.

კოლოფონი. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა:

იუსტიციისა და უსაფრთხოების სამინისტრო  
 The Ministry of Justice and Security  
 P.O. Box 20301 | 2500 EH | The Hague

მაისი 2022 | 22403201

მოცემული საინფორმაციო ფურცლის შინაარსი არ ითვალისწინებს რაიმე უფლებების მინიჭებას.

